საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11714/01
11/11/2021

11714-01-2-202111111618

ფ/პ ეკატერინე აბესაძეს

მის: ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. №52ბ
ელ: ფოსტა: qobulashvili56@mail.ru

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 13 ოქტომბრის N18489 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ქუთაისში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) მოწყობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადებაში არ არის დაზუსტებული, თუ საიდან და რა მიზნით მოხდება ობიექტის წყალმომარაგება და რა რაოდენობის წყალი იქნება გამოყენებული წელიწადის განმავლობაში;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე მოხვედრილი ნალექებისა და დაღვრილი ნავთობპროდუქტების შეკრება მოხდება ღია ღარების საშუალებით, საიდანაც წყალი ჩაედინება გამწმენდ ნაგებობაში. ასევე, განცხადებაში მითითებულია, რომ სადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები მოხვდება წვიმის წყლის რეზერვუარში, საიდანაც გადავა გამწმენდ დანადგარში. აღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების მართვისთვის გათვალისწინებულია საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, რომლის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ გამწმენდი დანადგარიდან გამომავალი გაწმენდილი წყლები ჩაშვებული იქნება საკანალიზაციო ჭაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია საკანალიზაციო ჭის მფლობელთან შეთანხმების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
- სკრინინგის განცხადების თანახმად, ავტოგასმართ სადგურზე დაგეგმილია ორი მიწისქვეშა რეზერვუარის (ბენზინის და დიზელის) მოწყობა, ასევე სამი სახის

ბენზინისა და ორი სახის დიზელის საწვავის რეალიზაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოდგენილი უნდა იყოს რეზერვუარების სქემა;

- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ ავტოგასამართი სადგურის ტერიტორია დაიფარება ბეტონის ფენით, თუმცა დანართის სახით წარმოდგენილი ფოტომასალით დგინდება, რომ ტერიტორია უკვე დაფარულია ბეტონის ფენით. გარდა ამისა, ააიპ. ,,ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს“ წერილის თანახმად, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ფ.პ ეკატერინე აბესაძე დაჯარიმდა სანებართვო პირობების დარღვევის გამო. ზემოაღნიშნულის მიხედვით, სკრინინგის განცხადებაში განხილული უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, უკვე შესრულებული და შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე